



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №103/17

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2017 წლის 15 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №103/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა განსახილველად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა და ჩამოერთვა ახსნა-განმარტება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის შესაბამისად.

მოსამართლე -- -- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ახსნა-განმარტება წარუდგინა 2018 წლის 06 ივნისს.

1. საჩივარში მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2017 წლის 1 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილება მხარეებს არ ჩაბარებიათ კანონით დადგენილ ვადაში.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2014 წლის 16 დეკემბერს -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე ქალაქ -- მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და მოითხოვა სსიპ -- სამსახურის 2013 წლის 06 დეკემბრის №-- და 2014 წლის 04 თებერვლის №-- ბრძანებების, ქ. -- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის

2014 წლის 25 ნოემბრის №-- ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და სსიპ -- სამსახურის დავალება გამოსცეს ახალი აქტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ქ. --, -- ქუჩა №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული (რომელიც განთავსებულია -- საკადასტრო ერთეულში) საცხოვრებელი სახლის საყრდენი კედლის გამაგრება.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 იანვრის განჩინებით (მოსამართლე-- --) მოსარჩელე -- -- სარჩელი მოპასუხე ქალაქ -- მუნიციპალიტეტის მერიის და სსიპ -- სამსახურის მიმართ, სსიპ -- სამსახურის 06.12.2013წ. №-- და 04.02.2014წ. №-- ბრძანებების, ქ. -- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 25.11.2014წ. №-- ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის და სსიპ -- სამსახურის დავალების თაობაზე გამოსცეს ახალი აქტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ქ. --, -- ქუჩა №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ (რომელიც განთავსებულია -- საკადასტრო ერთეულში) საცხოვრებელი სახლის საყრდენი კედლის გამაგრება, მიღებული იქნა სასამართლოს წარმოებაში და ცნობილი იქნა დასაშვებად.

2015 წლის 4 მაისს -- -- დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და დამატებით მოითხოვა სსიპ -- სამსახურის 2014 წლის 07 ოქტომბრის №-- ბრძანების ბათილად ცნობა.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 07 მაისის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- დაუდგინდა ხარვეზი. მოსარჩელეს განემარტა, რომ წარსადგენი იყო სსიპ -- სამსახურის 2014 წლის 07 ოქტომბრის №--- ბრძანება.

2015 წლის 15 მაისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და წარადგინა სსიპ -- სამსახურის 2014 წლის 07 ოქტომბრის №--- ბრძანება.

-- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 მაისის განჩინებით -- -- დამატებითი სასარჩელო მოთხოვნა სსიპ -- სამსახურის 2014 წლის 7 ოქტომბრის №--- ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილი იქნა დასაშვებად.

2016 წლის 4 აგვისტოს -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში -- -- ქ. -- მერიისა და სსიპ -- სამსახურის მიმართ წარადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა: 1) სსიპ -- სამსახურის 2014 წლის 7 ოქტომბრის №--- ბრძანებისა და 2015 წლის 6 ივნისის №-- ბრძანების ბათილად ცნობა №-- საკადასტრო ერთეულის მხარეს აივნების განთავსების ნაწილში, 2) სსიპ -- სამსახურის 2014 წლის 7 ოქტომბრის №-- ბრძანებასა და 2015 წლის 6 ივნისის №-- ბრძანებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ. -- მერის 2016 წლის 5 ივლისის №-- ბრძანების ბათილად ცნობა.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 08 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი; მოპასუხეებს

გაეგზავნათ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები და დაევალოთ, მათი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წერილობითი პასუხისა (შესაგებელი) და მტკიცებულებების - სადავო აქტების გამოცემის საფუძველად წარმოებული საქმის მასალების სასამართლოში წარდგენა; საქმეში მესამე პირად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით ჩაერთო შპს „--“; საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა 5 თვემდე.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით (მოსამართლე-- --) №3/5062-14 ადმინისტრაციული საქმე (მოსარჩელე - -- --, მეორე მოსარჩელე - შპს „--“ დირექტორი - -- --, მოპასუხეები - ქალაქ -- მუნიციპალიტეტის მერია და სსიპ -- სამსახური, მესამე პირი - -- -- (მოსარჩელე-- -- სარჩელზე; დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალეზა) და №3/5787-16 ადმინისტრაციული საქმე (მოსარჩელე - -- --, მოპასუხეები - ქალაქ -- მუნიციპალიტეტის მერია და სსიპ -- სამსახური, მესამე პირი - შპს „--“, დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა) გაერთიანდა ერთ წარმოებად; გაერთიანებულ ადმინისტრაციულ საქმეებს მიენიჭა №3/5062-14.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით (მოსამართლე-- --) -- - სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შპს „--“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ 29 აგვისტოს და ჩაბარდათ 30 აგვისტოს.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება შპს „--“ წარმომადგენელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2017 წლის 22 სექტემბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით შპს „--“ სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად; საქმის განხილვა დაიწყო 2017 წლის 20 დეკემბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით (მოსამართლე-- --) შპს „--“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩეს -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „--“ 2018 წლის 03 აპრილს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 07 მაისის განჩინებით (მოსამართლე-- --) ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „--“ საკასაციო საჩივარი -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 09 ოქტომბრის განჩინებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) შპს „--“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა --

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინება.

3. მოსამართლე -- ახსნა-განმარტება:

2018 წლის 06 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, მოსამართლე -- წარადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მოსამართლემ ყურადღება საქმის სირთულეზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მოსამზადებლად ერთი ან ორი საათი არ იყო საკმარისი. მოსამართლე მიუთითებს, რომ 14 დღიან პერიოდში, რა დროის განმავლობაშიც კანონის მიხედვით დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა მომზადებულიყო, საქმეთა განხილვის გრაფიკის მიხედვით მას 44 არსებითი კატეგორიის საქმეზე ჰქონდა სხდომა დანიშნული. მოსამართლე აღნიშნავს, რომ საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით საქმეებზე სხდომები, მხარეებთან შეთანხმებით, ჩანიშნული ჰქონდა 17:30 საათზეც. ამასთან, მიუთითებს შუამდგომლობებისა და უზრუნველყოფის ღონისძიებების სიმრავლეზე, რაც ასევე მოსამართლის მხრიდან გარკვეულ დროს მოითხოვს.

მოსამართლემ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების დაგვიანებით გადაცემა გამოწვეული იყო როგორც საქმეთა სიმრავლით, ისე განსახილველ საქმეების მახასიათებლებით. აღნიშნა, რომ კონკრეტული დროის მონაკვეთში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებამდე რომ ჰქონოდა დროის მცირე მონაკვეთი თავისუფალი დროულად მოამზადებდა და ჩააბარებდა დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეებს, თუმცა როცა სრულიად გაჯერებულია როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო საათები კონკრეტული საქმეებითა და ვალდებულებებით, სასურველია - თუმცა შეუძლებელია, რომ კანონით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყო ყველა ვალდებულების შესრულება.

4. დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

სადისციპლინო პალატამ გააკეთა განმარტება (2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება) სამართლებრივი შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. *Golderc. Royaume-Uni*, 21 février 1975, §§28-36, série Ano 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. *Hornsby*, ხსენებული ზემოთ §§40 და შემდგომ). სტრასბურგის სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეებში (*Vermeulen v. Belgium*, §34; *Lobo Machadov. Portugal*, §32). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას

(„დინეტი საფრანგეთის წინააღმდეგ” (Diennetv. France, §33);” მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ” (Martiniev. France [GC], §39)).

„დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს... მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.“ (სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

განსახილველ შემთხვევაში საკითხი შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ 2017 წლის 29 აგვისტოს და ჩაბარდათ 30 აგვისტოს.

მოცემულ შემთხვევაში სახეზე არის კანონით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნის სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადის დარღვევა, ვინაიდან, დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს გაეგზავნა 6 თვის შემდეგ, რაც თავის მხრივ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს. ამასთან, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა იწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. შესაბამისად, მხარეს არ შეზღუდვია სასამართლო გადაწყვეტილების

გასაჩივრების ფუნდამენტური უფლება, თუმცა 6 თვის დაგვიანებით დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გაგზავნა არ წარმოადგენს გონივრულ ვადას.

დადასტურებულ საპროცესო წესის დარღვევის ფაქტთან მიმართებით, დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის, რელევანტურია გამოირკვეს და შეფასდეს სხვა გარემოებებიც. მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, გულისხმობს მოსამართლის მიერ მხარეთა კონსტიტუციური, ასევე, ფუნდამენტური საპროცესო უფლებების, ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების, ან სამოსამართლო საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი ნორმების დარღვევას, რამაც ზიანი მიაყენა პროცესის მონაწილე მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს. ქმედების არაჯეროვან შესრულებად დაკვალიფიცირებისას მხედველობაში მიიღება გამოწვეული ზიანის ხარისხი, დარღვევის სისტემატურობა, მოსამართლის შეცდომის გამოსწორებადი ხასიათი, მოსამართლის მოტივები. მოსამართლის უფლებამოსილების ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულება მოსამართლის ეთიკური ვალდებულებაა. ამდენად, სამოსამართლო მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება უნდა განიმარტოს, როგორც მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების ან სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი ფუნდამენტური ნორმების, მათ შორის პროცესის მონაწილეთა ფუნდამენტური უფლებების ან სამართლიანი პროცესის გარანტიების დარღვევა.

ბუნებრივია, საკითხის შეფასება თითოეულ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად. განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- მიერ მიღებული სადავო გადაწყვეტილება გადაისინჯა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ. ფაქტია, რომ მოსამართლის მიერ საჩივრის ავტორის ფუნდამენტური საპროცესო უფლების დარღვევას ადგილი არ ქონია.

ამასთან, მნიშვნელოვანია მოსამართლის სტატისტიკური მონაცემებისა და მისი დატვირთულობის გათვალისწინება, რაზეც თავად მოსამართლე -- -- წერილობით ახსნა-განმარტებაში ამახვილებს ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2017 წელს მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა - 252 საქმე, დაასრულა 246 საქმე (97.6%).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის ახსნა-განმარტების და მისი დატვირთულობის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ მართალია მოსამართლის მხრიდან დასტურდება საპროცესო წესის დარღვევის შემთხვევა, მაგრამ ვინაიდან, ეს განპირობებულია მოსამართლის სტატისტიკური მონაცემებითა და დატვირთულებით, ასევე ვინაიდან ადგილი არ ჰქონია მხარისათვის ზიანის მიყენების ფაქტს და არ დარღვეულა მისი ფუნდამენტური საპროცესო უფლება (გასაჩივრების უფლება), მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა. ამავე კანონის 75¹³ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამავე კანონის 75¹⁰ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმებისას მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის და ამავე კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიერ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება) ბრალეულად ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 75¹³ მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №103/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის

(მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება) შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმადლესი საბჭოს მდივანი